[პროექტი] მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი (2018 წ.)

სტანდარტის სტრუქტურა

(i) მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი ორგანიზებულია თემების მიხედვით და თითოეული თემა ცალკე დანომრილ ნაწილშია განხილული. პუნქტების მინიშნებები იდენტიფიცირებულია ნაწილის ნომრით, რომელსაც მოჰყვება პუნქტის ნომერი. პუნქტების ნომრებს xx.yy ფორმატი აქვს, სადაც xx არის ნაწილის ნომერი, ხოლო yy არის ამ ნაწილში პუნქტის ნომერი.

(ii) მეოთხე კატეგორიის საწარმოების სტანდარტის ყველა პუნქტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

სამუშაო ვერსია

ნაწილი 1
მოქმედების სფერო

სტანდარტის მოქმედების სფერო

1.1 წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი (შემდგომ - სტანდარტი) ვრცელდება მეოთხე კატეგორიის საწარმოთა (შემდგომ - საწარმო) **ინდივიდუალურ** ფინანსურ ანგარიშგებებზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (შემდგომ - ფასს სტანდარტები) ან მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (შემდგომ - მსს ფასს სტანდარტი) „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) შესაბამისად.

1.2 მეოთხე კატეგორიის საწარმო განიმარტება კანონის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ძალაში შესვლის თარიღი

1.3 საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია წინამდებარე სტანდარტის ვადამდელი გამოყენება.

საბჭოს ვერსია

ნაწილი 2
საფუძვლები, დაშვებები და ძირითადი პრინციპები

მოქმედების სფერო

2.1 ამ ნაწილში აღწერილია ის საფუძვლები, დაშვებები და ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს საწარმოების ოპერაციების აღიარებასა და შეფასებას წინამდებარე სტანდარტის ფარგლებში.

საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მიზანი

2.2 საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, წარსული ოპერაციების გათვალისწინებით, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სასარგებლო იქნება ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად და კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისათვის.

უტყუარი და სამართლიანი თვალსაზრისის დაშვება

2.3 იგულისხმება, რომ წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარ და სამართლიან ინფორმაციას

იძლევა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ, ამ სტანდარტის ფარგლებში.

ფინანსური ანგარიშგების ძირითადი საფუძვლები

2.4 საწარმომ ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს შემდეგ ძირითად საფუძვლებზე დაყრდნობით.

2.5 **ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე აღრიცხვა**: მართებულია, თუ ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებულია, ასე რომ მოიქცეს.

2.6 **დარიცხვის მეთოდი**: აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის აღიარება მაშინ, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ამ ელემენტებისთვის დადგენილ განმარტებებსა და აღიარების კრიტერიუმებს.

2.7 **წინდახედულობა**: (i) შეიძლება მხოლოდ საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების აღიარება; (ii) უნდა აღიარდეს მოცემული ან წინა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში წარმოქმნილი ყველა ვალდე¬ბულება, მაშინაც კი, როდესაც ამგვარი ვალდებულებების წარმოქმნა ცხადი გახდება მხოლოდ საანგარიშგებო თარიღსა და სამსახურისთვის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღებს შორის პერიოდში; და (iii) უნდა აღიარდეს ყველა აქტივის გაუფასურება.

2.8 **არსებითობა:** ინფორმაცია არსებითია, თუ მის გამოტოვებას ან არასწორად წარდგენას, ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში, შეუძლია გავლენა იქონიოს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მომხმარებლების მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწ-ყვეტილებებზე. არსებითობა დამოკიდებულია გამოტოვებული ან არასწორად წარმოდ¬გენილი ინფორმაციის სიდიდესა და ხასიათზე, რისი განხილვაც უნდა ხდებოდეს შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით.

ფინანსური მდგომარეობის ელემენტები

2.9 **აქტივი**: რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას;

2.10 **ვალდებულება**: საწარმოს არსებული ვალდებულება, რომელიც წარმო-იქმნა წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა მოსალო-დნელია, რომ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესუ-რსების გასვლას საწარმოდან.

2.11 **საკუთარი კაპიტალი**: საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

საბჭოს პროექტი

ფინანსური შედეგების ელემენტები

2.12 **შემოსავალი**: ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების ზრდის ან ხარისხის გაუმჯობესების, ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც იწვევს საწარმოს საკუთარი კაპიტალის ზრდას, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა მიერ საკუთარ კაპიტალში განხორციელებულ დამატებით შენატანებთან.

2.13 **ხარჯები:** ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან აქტივების ხარისხის გაუარესების, ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც იწვევს საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებას, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან.

2.14 მოგება ან ზარალი არის საწარმოს საქმიანობის შედეგი, სხვაობა ერთი და იმავე პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, ამიტომ, იგი არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ცალკე ელემენტს.

ელემენტების აღიარება

2.15 აღიარება არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის განმარტებას და შემდეგ კრიტერიუმებს:

(ა) მოსალოდნელია ამ მუხლთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და

(ბ) მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

2.16 **მომავალი ეკონომიკური სარგებლის ალბათობა:** მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება/გადინებისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის დონის შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ იმ პირობებს ან/და მტკიცებულებებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ამგვარი შეფასებები ცალ-ცალკე კეთდება თითოეული ინდივიდუალურად არსებითი მუხლისთვის და ასევე ინდივიდუალურად არაარსებითი მუხლებისგან შემდგარი დიდი ჯგუფისთვის.

2.17 **საიმედოდ შეფასება:** ხშირ შემთხვევაში, მუხლის თვითღირებულება ან ღირებულება ცნობილია, სხვა შემთხვევაში - უნდა შეფასდეს. გონივრული შეფასებების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების მნიშვნელოვანი ნაწილია და არ ამცირებს მის საიმედოობას. ინფორმაცია საიმედოა მაშინ, თუ იგი არ შეიცავს არსებით შეცდომას, არ არის მიკერძოებული და სამართლიანად აჩვენებს იმას, რის საჩვენებლადაც არის გამიზნული, ან რასაც უნდა აჩვენებდეს, გონივრული მოლოდინის ფარგლებში.

საბუღალტერო

2.18 სტანდარტით ნებადართული არ არის ისეთი მუხლების **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში** აღიარება, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების** რომელიმე ელემენტის განმარტებას.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

2.19 თავდაპირველი აღიარებისას საწარმომ აქტივები და ვალდებულებები თვითღირებულებით უნდა შეაფასოს. იშვიათ გარემოებებში წინამდებარე სტანდარტით მოითხოვება საწარმოს მიერ აქტივის ან ვალდებულების თვითღირებულების შეფასება აღიარების თარიღის მდგომარეობით განსაზღვრული მისი საბაზრო ღირებულების საიმედო შეფასების საფუძველზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება

2.20 თავდაპირველი აღიარების შემდგომ აქტივების ხელახალი შეფასების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ აქტივები შეფასებული არ იყოს იმაზე უფრო მეტი ღირებულებით, რა ოდენობის ანაზღაურების მიღებასაც მოელის საწარმო აქტივის გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

2.21 **არაფინანსური აქტივები**: როგორც წესი, ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა/ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუ ასეთი არსებობს) გამოკლებით.

2.22 **ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები**: გარდა სხვა საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში ფლობილი ინვესტიციებისა, ფასდება თვითღირებულებით, რომელიც კორექტირებულია დარიცხული მისაღები პროცენტით, ხოლო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, ასევე დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხის გამოკლებით, თუ ასეთი არსებობს.

2.23 **წილობრივი ინვესტიციები**: ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი, თუ ასეთი არსებობს.

2.24 **ვალდებულებები, გარდა ფინანსური ვალდებულებებისა**: როგორც წესი, ფასდება საწარმოს მიერ იმ თანხის ოდენობის საიმედო შეფასებით, რომელიც საჭირო იქნებოდა ვალდებულების შესასრულებლად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.

ურთიერთგადაფარვა

2.25 საწარმოსთვის დაუშვებელია აქტივებისა და ვალდებულებების, ან შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის წინამდებარე სტანდარტით.

საქმიანობა

ნაწილი 3
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

მოქმედების სფერო

3.1 ამ ნაწილში ახსნილია, რას გულისხმობს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა, რას მოიცავს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი და როგორ უნდა განხორციელდეს **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების**, **ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა** და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების წარდგენა.

განცხადება სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ

3.2 ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც მომზადებულია ამ სტანდარტის შესაბამისად, **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში**, თვალსაჩინო ადგილზე, მითითებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

ანგარიშგების წარდგენის პერიოდულობა

3.3 კანონის შესაბამისად საწარმომ ყოველწლიურად უნდა წარადგინოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი (მათ შორის შესადარისი ინფორმაცია.

საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასება

3.4 ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმოს ხელმძ-ღვანელობამ სტანდარტზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს, აქვს თუ არა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ანალიზისას ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი ხელმისაწვდომი საპროგნოზო ინფორმაცია საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ. საპროგნოზო ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ბოლო საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტ კალენდარულ თვეს.

3.5 როდესაც ხელმძღვანელობა დაადგენს, რომ საწარმო არ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ დაუწყია ლიკვიდაციის პროცედურა, მან ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს ისეთი საფუძვლით, რომელიც ასახავს იმ ფაქტს, რომ საწარმო არ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს.

3.6 სადას თუ ფინანსური ანგარიშგების მომზადებას გადაწყვეტს საწარმო, რომელიც ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება, მან ფინანსური ანგარი¬შგება უნდა მოამზადოს ისეთი საფუძვლით, რომელიც ასახავს იმ ფაქტს, რომ საწარმო არ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს.

საბუღალტერო

არსებითობა და აგრეგირება

3.7 საწარმომ **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისა** და **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებისთვის** განსაზღვრული მუხლების ფარგლებში ცალ-ცალკე უნდა წარმოადგინოს ყველა არსებითი მუხლი, ხოლო არაარსებითი მუხლები აგრეგირებულად.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი

3.8 საწარმოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი უნდა მოიცავდეს:

(ა) საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით მომზადებულ **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას,** რომელსაც ბოლოში დაერთვის შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები;

(ბ) **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას;** და

(გ) **ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.**

3.9 თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა რამ არ მოითხოვება, ან ნებადართული არ არის, საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასა და შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემისთვის.

დამატებითი ინფორმაცია

3.10 საწარმომ თვალსაჩინოდ უნდა გამიჯნოს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის თითოეული შემადგენელი ნაწილი, ამასთან, ნათლად მიუთითოს შემდეგი ინფორმაცია და გაიმეოროს კიდეც, თუ ამის გაკეთება აუცილებელია წარმოდგენილი ინფორმაციის გასაგებად:

(ა) საწარმოს დასახელება და წინა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მისი სახელწოდების ნებისმიერი ცვლილება;

(ბ) საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;

(გ) საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღი და ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი;

(დ) მიუთითოს, რომ თანხები ფინანსური ანგარიშგებაში შეფასებული და წარდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში; და

(ე) საწარმოს იურიდიული მისამართი.

საბჭოს ვერსია

3.11 საწარმომ **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება** შემდეგი ფორმატით უნდა წარადგინოს და, არსებითობის გათვალისწინებით, ცალ-ცალკე წარმოადგინოს შემდეგი მუხლები:

აქტივები		**საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები**	
ფულადი სახსრები	X	სავაჭრო ვალდებულებები	X
სავაჭრო მოთხოვნები	X	ანარიცხები	X
სხვა მოთხოვნები (მათ შორის: გადახდილი ავანსები და დარიცხული შემოსავალი)	X	დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები	X
მარაგები	**XX**	ავანსად მიღებული ამონაგები მომსახურებიდან	X
-მზა პროდუქცია	X	დარიცხული ხარჯები და სხვა გადავადებული შემოსავალი	X
-სხვა	X	აქციონერთა სესხები	X
სხვა მოკლევადიანი აქტივები	X	ბანკის სესხები	X
ბიოლოგიური აქტივები	**XX**	სხვა სესხები	X
-თვითღირებულების მოდელით	X	სხვა ვალდებულებები	X
- გადაფასების მოდელით	X	**სულ ვალდებულებები**	**XX**
გრძელვადიანი აქტივები	**XX**	**საკუთარი კაპიტალი**	
- მიწა	X	კაპიტალი (განაღდებული ნაწილი)	X
- შენობა-ნაგებობები	X	გაუნაწილებელი მოგება	X
- სხვა გრძელვადიანი აქტივები	X	გადაფასების ნამეტი	X
- არამატერიალური აქტივები	X	სხვა	X
კაპიტალი (გაუნაღდებელი ნაწილი)	X	**სულ საკუთარი კაპიტალი**	**XX**
სულ აქტივები	**XX**	**სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები**	**XX**

საშუალოვადიანი

3.12 საწარმომ აქტივს მოკლევადიანის კატეგორია უნდა მიანიჭოს, როდესაც:

(ა) აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;

(ბ) ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო თარიღის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან

(გ) აქტივი არის ფულადი სახსრები. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც ფულადი სახსრების გაცვლა ან ვალდებულების შესასრულებლად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო თარიღის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

3.13 საწარმომ **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება** შემდეგი ფორმატით უნდა წარადგინოს და, არსებითობის გათვალისწინებით, ცალ-ცალკე წარმოადგინოს შემდეგი მუხლები:

ნეტო ამონაგები	**XX**
- საქონლის გაყიდვა	X
- მომსახურების გაწევა	X
- სამშენებლო ხელშეკრულებები	X
- სხვა	X
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	**(XX)**
საწყისი მარაგი	(X)
შესყიდვები	(X)
ნედლეულისა და მასალების გადამუშავების დანახარჯები	(X)
საბოლოო მარაგი	X
საერთო მოგება	**XX**
სხვა შემოსავალი (მიუთითეთ ...)	X
დასაქმებულთა ხარჯები	(X)
ცვეთა/ამორტიზაცია	(X)
გაუფასურების ხარჯი	**(XX)**
- ფინანსური აქტივები	(X)
- მარაგები	(X)
- სხვა არაფინანსური აქტივები	(X)
საპროცენტო შემოსავალი	X
საპროცენტო ხარჯი	(X)
საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი	X
სხვა ხარჯები	(X)
მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	**X**
მოგების გადასახადი	(X)
წლის მოგება / (ზარალი)	**X**
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი: გადაანგარიშებული	X
- გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი გადაანგარიშებამდე (წინა წლის საბოლოო ნაშთი)	X
- გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა (მიუთითეთ...)	(X)
- გასული პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების გავლენა (მიუთითეთ ...)	X
გადაფასების რეზერვიდან გადატანა - ცვეთის ან წლის განმავლობაში გაყიდვის მეშვეობით გასული პერიოდის გადაფასების შემოსულობის რეალიზების შედეგად	X
განაწილება მესაკუთრეებზე (ე.ი. დივიდენდები)	(X)
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	**XX**

საბუმბერაზო ვერსია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

3.14 საწარმომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა წარადგინოს პირდა-პირი მეთოდით, შემდეგი ფორმატით და, არსებითობის გათვალის-წინებით, ცალკე წარმოადგინოს შემდეგი მუხლები:

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების მიღება მომხმარებლებისგან	X
ფულადი სახსრების გადახდა მომწოდებლებისა და დასაქმებულ პირთათვის	(X)
სხვა	X
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	XX
გადახდილი მოგების გადასახადი	(X)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**XX**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(X)
ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(X)
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	X
ფულადი სახსრების შემოსვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან	X
მიღებული პროცენტი	X
მიღებული დივიდენდები	X
სხვა	X
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	**XX**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის გამოშვებიდან	X
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი სესხებიდან	X
სასესხო ვალდებულებების გადახდა	(X)
საპროცენტო ხარჯის გადახდა	(X)
დივიდენდების გადახდა	(X)
სხვა	X
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**XX**
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა წლის განმავლობაში	**XX**
ფულადი სახსრების სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	X
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	X
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**XX**

განმარტებითი შენიშვნები

3.15 საწარმოს განმარტებითი შენიშვნები უნდა მოიცავდეს მხოლოდ შემდეგ ინფორმაციას:

(ა) ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების, გარანტიის, ან პირობითი ვალდებულების **ჯამური თანხა,** რომლებიც ასახული არ არის

საბჭოს ვერსია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ასევე ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების, გარანტიის, ან პირობითი ვალდებულების ხასიათისა და ფორმის **ცალ-ცალკე აღწერა** (შესაბამისი თანხის მითითებით), რომელიც მიეკუთვნება:

(i) პენსიებს; და

(ii) მის **მშობელ საწარმოს, შვილობილ საწარმოს** (მშობელი საწარმოს მიერ კონტროლირებული საწარმო, მათ შორის საბოლოო მშობელი საწარმოს ნებისმიერი შვილობილი საწარმო), ან **მეკავშირე საწარმოს** (ე.ი. საწარმო, რომლის საოპერაციო და ფინანსურ პოლიტიკაზე მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. წინამდებარე სტანდარტის თანახმად, მნიშვნელოვანი გავლენა მაშინ არსებობს, როდესაც მეოთხე კატეგორიის სწარამო ფლობს მოცემული საწარმოს ხმის უფლების 20%-ს ან მეტს).

(ბ) ხელმძღვანელი და სამეთვალყურეო ორგანოების წევრებზე გაცემული ავანსებისა და კრედიტების თანხა, საპროცენტო განაკვეთის, ძირითადი პირობებისა და დაბრუნებული, ჩამოწერილი ან გაუქმებული თანხების ოდენობის მითითებით, ასევე მათი სახელით ნებისმიერი სახის გარანტიის მეშვეობით აღებული ვალდებულებების თანხისა და შესაბამისი გარანტიის თანხის (ოდენობის) მითითებით.

(გ) ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენაზე ან გასხვისებაზე, რომელიც განახორციელა თვითონ საწარმომ ან მისი სახელით მოქმედმა სხვა პირმა, კერძოდ, სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია:

(i) საანგარიშგებო პერიოდში განმავლობაში აქციების შეძენის მიზეზები;

(ii) საანგარიშგებო პერიოდში შეძენილი და გასხვისებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საბალანსო ღირებულება და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი

(iii) აქციების შეძენისათვის ან გასხვისებისათვის განხორციელებული საპასუხო შესრულება (ე.ი. შეძენის ან გაყიდვის შემთხვევაში - აქციებისათვის მიღებული ანაზღაურება);

(iv) საანგარიშგებო პერიოდში შეძენილი და საკუთრებაში დატოვებული აქციების რაოდენობა და ნომინალური ღირებულება, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – საბალანსო ღირებულება და განთავსებულ კაპიტალში აქციების წილობრივი მაჩვენებელი;

საბუღალტერო

ნაწილი 4
სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები

მოქმედების სფერო

4.1 ამ ნაწილში მოცემულია მითითებები სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენებისთვის, რომელიც გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მითითებები ასევე ეხება სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებსა და წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების შეცდომების გასწორებას.

სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა და გამოყენება

4.2 სააღრიცხვო პოლიტიკა არის გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებსაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

4.3 თუ წინამდებარე სტანდარტი კონკრეტულად ეხება რომელიმე ოპერაციას, მოვლენას ან გარემოებას, საწარმომ უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სტანდარტის ამა თუ იმ მოთხოვნის უგულებელყოფა არსებით გავლენას არ მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4.4 თუ წინამდებარე სტანდარტი კონკრეტულად არ ეხება რომელიმე ეკონომიკურ მოვლენას (შგ., ოპერაციას, მოვლენას ან გარემოებას), საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს და თვითონ შეიმუშაოს და გამოიყენოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია:

(ა) სამართლიანად ასახავს ეკონომიკურ მოვლენას;

(ბ) გამოხატავს მის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას; და

(გ) წინდახედულია.

4.5 ზედა პუნქტში აღწერილი მსჯელობისას ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისი განმარტებები, აღიარების კრიტერიუმები და შეფასების საფუძვლები, ასევე ძირითადი პრინციპები, რომლებიც განხილულია მე-2 ნაწილში - *„საფუძვლები, დაშვებები და ძირითადი პრინციპები“*.

4.6 საწარმომ უნდა შეარჩიოს სააღრიცხვო პოლიტიკა და თანამიმდევრულად გამოიყენოს მსგავსი ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებებისთვის.

საბჭოს ვერსია

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

4.7 საწარმომ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეცვალოს სააღრიცხვო პოლიტიკა, თუ ცვლილება:

(ა) მოითხოვება წინამდებარე სტანდარტის ცვლილებებით; ან

(ბ) გამოიწვევს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაფერისი ინფორმაციის ასახვას ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.

4.8 საწარმომ წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით გამოწვეული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება უნდა ასახოს სტანდარტის ცვლილების გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო სხვა მიზეზით გამოწვეული ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში უნდა აისახოს რეტროსპექტულად.

4.9 გამარტივების მიზნით, მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენება ნიშნავს მხოლოდ მიმდინარე პერიოდის საწყისი მონაცემების გადაანგარიშებას. ამიტომ, არ უნდა გადაანგარიშდეს შესადარისი ინფორმაცია, არამედ საწარმომ უნდა გადაიანგარიშოს მხოლოდ მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი საბალანსო ღირებულებები. გასული პერიოდის მონაცემების ამგვარი კორექტირება ჯამურად უნდა აისახოს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების შესაბამის მუხლში.

საბჭოს ვერსია

ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში

4.10 სააღრიცხვო შეფასების ცვლილება არის აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების, ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის, ან ცვეთის/ამორტიზაციის მეთოდის ცვლილება, რომელიც გამომდინარეობს აქტივებისა და ვალდებულებების არსებული მდგომარეობის, ან აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლისა და ვალდებულებების შეფასებიდან.

4.11 საწარმომ სააღრიცხვო შეფასების ცვლილების გავლენა უნდა ასახოს **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში**:

(ა) მხოლოდ იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც განხორციელდა ცვლილება, თუ ეს ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ მოცემულ საანგარიშგებო პერიოდზე; ან

(ბ) იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც განხორციელდა ცვლილება და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებშიც, თუ ეს ცვლილება მომავალ პერიოდებზეც ახდენს გავლენას.

4.12 ამასთან, თუ სააღრიცხვო შეფასების ცვლილება იწვევს აქტივის, ვალდებულების ან საკუთარი კაპიტალის რომელიმე მუხლის საბალანსო ღირებულების ცვლილებას, საწარმომ ეს ცვლილება უნდა ასახოს შესაბამის მუხლებში იმავე საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც განხორციელდა ცვლილება.

წინა საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის შეცდომების გასწორება

4.13 წინა საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის შეცდომები არის საწარმოს წინა საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ინფორმაციის გამოტოვება, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საწარმომ არ გამოიყენა, ან არასწორად გამოიყენა სანდო ინფორმაცია, რომელიც:

(ა) ხელმისაწვდომი იყო იმ მომენტისათვის, როდესაც შესაბამისი პერიოდების ფინანსური ანგარიშგება სამსახურში წარადგინა; და

(ბ) გონივრულად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

4.14 ამგვარ შეცდომებს განეკუთვნება მათემატიკური შეცდომების, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებული შეცდომების, ფაქტების უყურადღებოდ დატოვების ან არასწორი ინტერპრეტაციისა და თაღლითობის შედეგები.

4.15 შესაძლებლობის ფარგლებში, საწარმომ რეტროსპექტულად უნდა შეასწოროს წინა საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის არსებითი შეცდომა მისი გამოვლენის შემდეგ სამსახურისთვის წარდგენილ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში, 4.9 პუნქტის შესაბამისად.

საბჭოს ვერსია

ნაწილი 5
ფინანსური ინსტრუმენტები

მოქმედების სფერო

5.1 წინამდებარე ნაწილი ეხება ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სააღრიცხვო მიდგომას, რომლის მონაწილე მხარეც არის საწარმო, გარდა:

(ა) ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც აკმაყოფილებს საწარმოს საკუთარი კაპიტალის განმარტებას (იხ. მე-12 ნაწილი - *„საკუთარ კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციები მესაკუთრეებთან“*);

(ბ) იჯარისა, რომელზეც ვრცელდება მე-10 ნაწილი („იჯარა“). თუმცა, 5.15–5.16 პუნქტების აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასევე ეხება მეიჯარის მიერ აღიარებული საიჯარო მოთხოვნებისა და მოიჯარის მიერ აღიარებული საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტასაც, ხოლო 5.11–5.12

პუნქტების მოთხოვნები გაუფასურების შესახებ - მეიჯარის მიერ აღიარებულ საიჯარო მოთხოვნებსაც.

5.2 **ფინანსური ინსტრუმენტი** არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

5.3 **ფინანსური აქტივი** არის ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: (ა) ფულად სახსრებს; (ბ) სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს; ან (გ) სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებო უფლებას.

5.4 **ფინანსური ვალდებულება** არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც წარმოადგენს სხვა მხარისთვის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებას.

აღიარება

5.5 საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ იგი ხდება მოცემული ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

5.6 საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით, ხოლო თვითღირებულება ფასდება გარიგების ფასით, რომელსაც აკლდება გარიგების დანახარჯები.

5.7 თუმცა, როდესაც საწარმო სახელმწიფოსგან იღებს უპროცენტო ან დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხს, მან გარიგების ფასის დასადგენად უნდა გამოიყენოს 14.3 პუნქტი.

5.8 ასევე, როდესაც საწარმო ყიდულობს მარაგებს (იხ. მე-6 ნაწილი - „მარაგები“), გრძელვადიან აქტივებს (იხ. მე-7 ნაწილი - *„გრძელვადიანი აქტივები“*) ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებულ ბიოლოგიურ აქტივებს (იხ. მე-8 ნაწილი - *„ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში“*), ან ყიდის საქონელს ან ეწევა მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით და **შემდგომი გადახდის ფასი** მეტია **დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე** (იხ. პუნქტი 13.8), მაშინ გარიგების ფასი არის დაუყოვნებლივ გადახდის ფასი, რომელიც ხელმისაწვდომია გარიგების თარიღისთვის.

5.9 სხვაობა **შემდგომი გადახდის ფასსა** და **დაუყოვნებლივ გადახდის ფასს** შორის ასახავს ფინანსურ ოპერაციას, რომელიც აღირიცხება წრფივი მეთოდით, როგორც საპროცენტო შემოსავალი (როდესაც საწარმო გამყიდველია, იხ. პუნქტი 5.12(ა)), ან საპროცენტო ხარჯი (როდესაც საწრმო მყიდველია), გადავადებული გადახდის პერიოდის განმავლობაში (იხ, 5.16).

საბუღალტერო

5.10 გარიგების დანახარჯები ხარჯის სახით აღიარდება **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში** მათი გაწევისას.

ფინანსური აქტივების შეფასება თავდაპირველი აღიარების შემდეგ

5.11 თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსური აქტივები უნდა შეაფასოს შემდეგნაირად:

(ა) **ინვესტიციები სხვა საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში** - თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი;

(ბ) **ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული თვითღირებულებით,** რომელსაც:

(i) ემატება საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით დარიცხული მისაღები საპროცენტო შემოსავალი (ან აკლდება ავანსად მიღებული საპროცენტო შემოსავალი);

(ii) აკლდება საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით დაბრუნებული ძირი თანხა; და

(iii) აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხა.

5.12 **საპროცენტო შემოსავალი** არის სხვაობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისაღებ მთლიან თანხასა და თავდაპირველად აღიარებულ თვითღირებულებას შორის. საწარმომ საპროცენტო შემოსავალი ხელშეკრულების ვადაზე უნდა გაანაწილოს შემდეგნაირად:

(ა) წრფივი მეთოდით ხელშეკრულების ვადის მიხედვით - ისეთი ოპერაციისთვის, რომელიც განხორციელდა შემდგომი გადახდის პირობით და შემდგომი გადახდის ფასი მეტია დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე (როგორც ეს აღწერილია 5.8 პუნქტში);

(ბ) წრფივი მეთოდით სესხის ვადის მიხედვით - სახელმწიფოს მონაწილეობით მიღებული უპროცენტო ან დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებისთვის;

(გ) ყველა სხვა შემთხვევაში - ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით მუდმივი (უცვლელი) საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ამ მიზნისთვის შესაფერისი განაკვეთი, როგორც წესი, იქნება სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი.

5.13 საწარმომ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა რომელიმე ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულება. თუ გაუფასურების ნიშნები არსებობს, საწარმომ უნდა შეაფასოს ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის მოცულობა საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით და მაშინვე აღიაროს გაუფასურების ხარჯის სახით **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში**.

საბუღალტერო

5.14 საწარმომ უნდა განახორციელოს ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის შემცირება იმ შემთხვევაში, თუ ადრე გაუფასურებული ფინანსური აქტივის საიმედოდ შეფასებული ღირებულება გაიზრდება ისეთი მოვლენის შედეგად, რომელიც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ. აღდგენილი თანხა მაშინვე უნდა აღიარდეს შემოსავლის სახით **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.**

ფინანსური ვალდებულებების შეფასება თავდაპირველი აღიარების შემდეგ

5.15 საწარმომ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ვალდებულებები უნდა შეაფასოს თვითღირებულებით, რომელსაც:

(ა) ემატება საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით დარიცხული გადასახდელი საპროცენტო ხარჯი;

(ბ) აკლდება საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით გასტუმრებული ძირი თანხა.

5.16 **საპროცენტო ხარჯი** არის სხვაობა ხელშეკრულებით განსაზღვრულ გადასახდელ მთლიან თანხასა და თავდაპირველად აღიარებულ თვითღირებულებას შორის. საწარმომ საპროცენტო ხარჯი ხელშეკრულების ვადაზე უნდა გაანაწილოს შემდეგნაირად:

(ა) წრფივი მეთოდით ხელშეკრულების ვადის მიხედვით - ისეთი ოპერაციისთვის, რომელიც განხორციელდა შემდგომი გადახდის პირობით და შემდგომი გადახდის ფასი მეტია დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე (როგორც ეს აღწერილია 5.8 პუნქტში);

(ბ) ყველა სხვა შემთხვევაში - ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით მუდმივი (უცვლელი) საპროცენ-ტო განაკვეთის გამოყენებით. ამ მიზნისთვის შესაფერისი განაკვე-თი, როგორც წესი, იქნება სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი.

საბუღალტერო

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

5.17 საწარმომ ფინანსური აქტივის (ან ფინანსური აქტივის ნაწილის) აღიარება უნდა შეწყვიტოს მაშინ, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გაუვა, ან ფულადი სახსრები უკვე მთლიანად მიღებული აქვს; ან

(ბ) მოსალოდნელი აღარ არის რაიმე მომავალი ეკონომიკური სარ-გებლის მიღება მოცემული ფინანსური აქტივის ფლობიდან ან მისი გასვლიდან.

5.15. ფინანსური აქტივის (ან ფინანსური აქტივის ნაწილის) აღიარების შეწყვეტიდან წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი მაშინვე უნდა აღიარდეს შემოსავლის ან ხარჯის სახით **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში**.

ნაწილი 6

მარაგები

მოქმედების სფერო

6.1 წინამდებარე ნაწილი ეხება მარაგების აღრიცხვას, გარდა:

(ა) დაუმთავრებელი მშენებლობისა, რომელიც წარმოიშობა სამშენებლო ხელშეკრულების შესრულებისას, მათ შორის, სამშენებლო ხელშეკრულებებთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულებებისა (იხ. მე-13 ნაწილი - *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“*); და

(ბ) ბიოლოგიური აქტივებისა, რომლებიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციასთან ნაყოფის მიღების მომენტამდე (ნაყოფის მიღება არის ბიოლოგიური აქტივიდან პროდუქციის მოცილება ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა.) (იხ. მე-8 ნაწილი - *„ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში“*).

6.2 მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც:

(ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;

(ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგების წარმოების პროცესში; ან

(გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში ან მომსახურების გაწევისას მოხმარებისათვის.

საბუღალტრო

მარაგის შეფასება

6.3 საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

6.4 **მარაგის თვითღირებულება** მოიცავს ყველანაირ დანახარჯს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მარაგის არსებულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მათ ახლანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან, მათ შორის

(ა) შეძენის დანახარჯებს;

(ბ) გადამუშავების დანახარჯებსა; და

(გ) სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მარაგის არსებულ ადგილამდე ტრანსპორტირებასა და მათ ახლანდელ მდგომარეობაში მოყვანასთან.

6.5 მარაგის **შეძენის დანახარჯები** მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, იმპორტის გადასახადსა და სხვა გადასახადებს (არაპირდაპირი გადასახადების გარდა, რომლებიც დაბრუნებას (ჩათვლას) ექვემდებარება შემდგომში), ტრანსპორტირების, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. შეძენის დანახარჯების გაანგარიშებისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით. თუ გადახდა გადავადებულია (შემდგომი გადახდის პირობით) და შემდგომი გადახდის ფასი მეტია დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე, მაშინ მარაგების თვითღირებულებაში ასახული შეძენის ფასი არის გარიგების თარიღისთვის ხელმისაწვდომი დაუყოვნებლივ გადახდის ფასი. სხვაობა შემდგომი გადახდის ფასსა და დაუყოვნებლივ გადახდის ფასს შორის უნდა აღირიცხოს მე-5 ნაწილის - *„ფინანსური ინსტრუმენტები“* - შესაბამისად.

6.6 საწარმომ არაფულადი აქტივის ან აქტივების, ან ფულადი და არაფულადი აქტივების ერთობლივად გაცვლის შედეგად შეძენილი მარაგის თვითღირებულება უნდა შეაფასოს აღიარების თარიღის მდგომარეობით განსაზღვრული მათი საბაზრო ღირებულების საიმედო შეფასებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც (ა) გაცვლის ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი, ან (ბ) არც მიღებული და არც გადაცემული აქტივის საბაზრო ღირებულება არ არის საიმედოდ შეფასებადი. ასეთ შემთხვევაში, აქტივის თვითღირებულება განისაზღვრება გადაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.

6.7 მარაგის **გადამუშავების დანახარჯები** მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულების წარმოებასთან (მაგალითად, საწარმოო პროცესში უშუალოდ ჩართულ პერსონალის ხარჯებს). გარდა ამისა, მოიცავს აგრეთვე საწარმოო ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის/გადამუშავების პროცესში (მაგალითად, საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების ცვეთა და საექსპლუატაციო დანახარჯები).

6.8 ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულება: მე-8 ნაწილის - *„ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში“* - შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარაგები, რომლებიც საწარმომ მიიღო ბიოლოგიური აქტივებიდან, თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეფასდეს გაყიდვისთვის აუცილებელი დანახარჯებით შემცირებული შეფასებული გასაყიდი ფასით, რომელიც განსაზღვრულია ნაყოფის მიღების მომენტისთვის. წინამდებარე ნაწილის გამოყენების მიზნებისათვის, ეს თანხა მიიჩნევა მარაგის თვითღირებულებად ზემოაღნიშნული თარიღისათვის.

საქართველოს

6.9 **თვითღირებულების ფორმულები:** საწარმომ ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი მარაგების თვითღირებულება, ასევე კონკრეტული პროექტებისთვის წარმოებული და განკუთვნილი საქონლის ან მომსახურების თვითღირებულება უნდა განსაზღვროს ცალ-ცალკე მათზე გაწეული ინდივიდუალური დანახარჯების იდენტიფიკაციით. ყველა სხვა მარაგის თვითღირებულება უნდა შეფასდეს ე.წ. **FIFO მეთოდით** (რომლის მიხედვითაც საანგარიშგებო პერიოდში, პირველ რიგში რეალიზებულად ითვლება ის საქონელი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის მიეკუთვნება მარაგს, ხოლო შემდეგ - ის საქონელი, რომელიც წარმოებულია (შეძენილია) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მისი წარმოების (შეძენის) დროის მიხედვით), **ან საშუალო შეწონილი ღირებულების** ფორმულის გამოყენებით.

6.10 **გაუფასურება:** საწარმომ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მარაგები, ანუ მათი საბალანსო ღირებულება არის თუ არა სრულად ანაზღაურებადი (მაგალითად, მარაგის დაზიანების, მოძველების ან გასაყიდი ფასის შემცირების გამო). როდესაც მარაგი გაუფასურებულია, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული შეფასებული გასაყიდი ფასით და გაუფასურების ზარალი, ხარჯის სახით მაშინვე აღიაროს **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.**

6.11 საწარმოს ეკრძალება ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა.

საქმეთა ბანკი

ხარჯად აღიარება

6.12 როდესაც მარაგი გაიყიდება, საწარმომ მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიაროს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარებს შესაბამის ამონაგებს.

ნაწილი 7
გრძელვადიანი აქტივები

მოქმედების სფერო

7.1 წინამდებარე ნაწილი ეხება ძირითადი საშუალებებისა (მათ შორის, საინვესტიციო ქონების) და არამატერიალური აქტივების აღრიცხვას. აქ არ არის აღწერილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების აღრიცხვის წესები (იხ. მე-8 ნაწილი - *„ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში“).*

7.2 **ძირითადი საშუალებები** არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: (ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის საწა-

რმოებლად, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად; იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და (ბ) მოსალოდნელია მათი ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი პერიოდის განმავლობაში გამოყენება.

7.3 **არამატერიალური აქტივი** არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. ასეთი აქტივი იდენტიფიცირებადად მიიჩნევა მაშინ, როდესაც: (ა) განცალკევებადია, ანუ შესაძლებელია მისი განცალკევება ან გამოყოფა საწარმოსგან და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზიით ან იჯარით გაცემა ან გაცვლა, ინდივიდუალურად ან დაკავშირებულ ხელშეკრულებასთან, აქტივთან ან ვალდებულებასთან ერთად; ან (ბ) წარმოიშობა სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებიდან, მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა ამ უფლებების გადაცემა ან განცალკევება საწარმოსგან ან სხვა უფლებებისა და ვალდებულებებისაგან.

აღიარება

7.4 საწარმომ გრძელვადიანი აქტივი უნდა აღიაროს მაშინ, როდესაც:

(ა) შესაძლებელია მისი თვითღირებულების საიმედო შეფასება; და

(ბ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

საწარმოში შექმნილი არამატერიალური ქონება არ უნდა აღიარდეს საწარმოს აქტივად. ყველა მსგავსი დანახარჯი მაშინვე ხარჯის სახით უნდა აღიარდეს **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში**.

7.5 მიწა და შენობა-ნაგებობები დამოუკიდებელი აქტივებია, ამიტომ საწარმომ ისინი ცალ-ცალკე უნდა აღრიცხოს მაშინაც კი, თუ ისინი ერთად არის შეძენილი.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

7.6 საწარმომ გრძელვადიანი აქტივი თავდაპირველად აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით.

7.7 გრძელვადიანი აქტივების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებსა და ყველა ისეთ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის იმ ადგილზე და ისეთ მდგომარეობაში მოყვანასთან, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად, გარდა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისა.

7.8 **შეძენის დანახარჯები** მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, იმპორტის გადასახადსა და სხვა გადასახადებს (არაპირდაპირი გადასახადების გარდა, რომლებიც დაბრუნებას (ჩათვლას) ექვემდებარება შემდგომში), ტრანსპორტირების, დატვირთვა-გადმოტვირთვის

საქსტატ 2016

დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მის შეძენასთან. შეძენის დანახარჯების გაანგარიშებისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით. თუ გადახდა გადავადებულია (შემდგომი გადახდის პირობით) და შემდგომი გადახდის ფასი მეტია დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე, მაშინ შეძენის დანახარჯებში ასახული შეძენის ფასი არის გარიგების თარიღისთვის ხელმისაწვდომი დაუყოვნებლივ გადახდის ფასი. სხვაობა შემდგომი გადახდის ფასსა და დაუყოვნებლივ გადახდის ფასს შორის უნდა აღირიცხოს მე-5 ნაწილის - *„ფინანსური ინსტრუმენტები“* - შესაბამისად.

7.9 საწარმომ არაფულადი აქტივ(ებ)ის, ან ფულადი და არაფულადი აქტივების ერთობლივად გაცვლის შედეგად შეძენილი გრძელვადიანი აქტივის თვითღირებულება უნდა შეაფასოს აღიარების თარიღის მდგომარეობით, საბაზრო ღირებულების ოდენობის საიმედო შეფასებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც (ა) გაცვლის ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი, ან (ბ) არც მიღებული და არც გადაცემული აქტივის საბაზრო ღირებულება არ არის საიმედოდ შეფასებადი. ასეთ შემთხვევაში, აქტივის თვითღირებულება განისაზღვრება გადაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.

7.10 საწარმომ სახელმწიფო გრანტით შეძენილი გრძელვადიანი აქტივის თვითღირებულება უნდა შეაფასოს ამ აქტივის აღიარების თარიღის მდგომარეობით, საბაზრო ღირებულების ოდენობის საიმედოდ შეფასებული თანხით (იხ. აგრეთვე მე-14 ნაწილი - *„სახელმწიფო გრანტები“*).

საბუღალტრო

შეფასება თავდაპირველი აღიარების შემდეგ

7.11 საწარმომ გრძელვადიანი აქტივი თავდაპირველი აღიარების შემდეგ უნდა შეაფასოს თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, რაც განისაზღვრება მე-9 ნაწილის - *„არაფინანსური აქტივების გაუფასურება“ - შესაბამისად.*

7.12 ცვეთა/ამორტიზაცია უნდა ასახავდეს საწარმოს მიერ მოცემული აქტივის მომსახურების პოტენციალის მოხმარების ხასიათს დანიშნულებისამებრ მისი გამოყენებისას. ცვეთის/ამორტიზაციის გაანგარიშება საჭიროებს მსჯელობასა და სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლას, მათ შორის:

(ა) ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვის იმ მეთოდის განსაზღვრას, რომელიც ყველაზე უკეთესად ასახავს აქტივის მომსახურების პოტენციალის მოხმარების ხასიათს დანიშნულებისამებრ მისი გამოყენებისას. (საწარმომ არამატერიალური აქტივებისთვის უნდა გამოიყენოს მხოლოდ ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი

მეთოდი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც აშკარაა, რომ სხვა მეთოდი უფრო შესაფერისია);

(ბ) აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას, ანუ იმ პერიოდის შეფასებას, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად საწარმოს მიერ ან მოსალოდნელია, რომ აქტივიდან საწარმო მიიღებს წარმოებული პროდუქციის ან მსგავსი ერთეულების გარკვეულ რაოდენობას;

(გ) აქტივის ნარჩენი ღირებულების შეფასებას. (თუმცა, საწარმომ ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლად უნდა მიიჩნიოს, თუ არ არსებობს ადვილად განსაზღვრადი ობიექტური მტკიცებულება იმ ფასისა, რა ფასადაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვა, თუ მას უკვე ის ასაკი და მდგომარეობა ექნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.)

7.13 აქტივზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის ექსპლუატაციისთვის ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. აქტივზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა უნდა შეწყდეს, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება ან სრულად გაცვდება.

7.14 მიწას ცვეთა არ ერიცხება, გარდა იმ იშვიათი გარემოებებისა, როდესაც მისი მომსახურების პოტენციალი მცირდება შესაბამისი დანიშნულებით გამოყენებისას. საწარმომ ცვეთა/ამორტიზაცია უნდა დაარიცხოს ყველა სხვა გრძელვადიან აქტივს.

საბუღალტერიო

აღიარების შეწყვეტა

7.15 საწარმომ გრძელვადიანი აქტივის აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გასვლისას ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებიდან ან გასვლიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

7.16 გრძელვადიანი აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი მაშინვე უნდა აღიარდეს შემოსავლის ან ხარჯის სახით **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.**

ნაწილი 8
ბიოლოგიური აქტივები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში

მოქმედების სფერო

8.1 წინამდებარე ნაწილი ეხება საწარმოს მიერ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების აღრიცხვას. ნაყოფის მიღების მომენტის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის აღრიცხვა განსაზღვრულია მე-6 ნაწილში - *„მარაგები“.*

8.2 **ბიოლოგიური აქტივი** არის ცხოველი ან მცენარე.

8.3 **სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა** არის საწარმოს საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიოლოგიური აქტივების ტრანსფორმაციას გაყიდვის მიზნით, ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ან დამატებითი ბიოლოგიური აქტივების მიღების მიზნით.

8.4 **სოფლის მეურნეობის პროდუქცია** არის საწარმოს ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული პროდუქცია.

აღიარება

8.5 საწარმომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივი უნდა აღიაროს მაშინ, როდესაც:

(ა) საწარმო აკონტროლებს მოცემულ ბიოლოგიურ აქტივს;

(ბ) შესაძლებელია ბიოლოგიური აქტივის თვითღირებულების საიმედო შეფასება; და

(გ) მოსალოდნელია ბიოლოგიურ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა.

8.6 ნაყოფის მიღების მომენტში საწარმომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია მაშინვე უნდა აღიაროს იმ ბიოლოგიური აქტივისგან განცალკევებით, რომლისგანაც იგი წარმოიქმნა (იხ. მე-6 ნაწილი - *„მარაგები“).*

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივის შეფასება

8.7 საწარმომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივი უნდა შეაფასოს თვითღირებულების მოდელის მეშვეობით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო დაადგენს, რომ თვითღირებულების მოდელის გამოყენების დანახარჯი აღემატება გადაფასების მოდელის გამოყენების დანახარჯს. ასეთ ვითარებაში მან გადაფასების მოდელი უნდა გამოიყენოს. აღნიშნული დანახარჯის გაანგარიშება ხდება ცალ-ცალკე თითოეული ჯგუფის ბიოლოგიური აქტივებისთვის.

საქართველოს

თვითღირებულების მოდელი

8.8 საწარმომ ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას თვით-ღირებულებით უნდა შეაფასოს, ხოლო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, მე-9 ნაწილის - *„არაფინანსური აქტივების გაუფასურება“* - შესაბამისად.

გადაფასების მოდელი

8.9 საწარმომ თითოეული ბიოლოგიური აქტივი, თავდაპირველი აღიარე-ბისას და ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის, მოცემული პერიოდის ცვეთის დარიცხვის შემდეგ, საიმედოდ უნდა შეაფასოს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით.

8.10 როდესაც გადაფასების შედეგად ბიოლოგიური აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, აღნიშნული ზრდა უშუალოდ უნდა აღიარდეს საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში ცალკე კატეგორიაში, ქვესა-თაურით „გადაფასების რეზერვი“.

8.11 როდესაც გადაფასების შედეგად ბიოლოგიური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, აღნიშნული შემცირება ხარჯად უნდა აღიარდეს **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.** როდესაც მოცემულ ბიოლოგიურ აქტივთან დაკავ-შირებულია გადაფასების ნამეტის ნაშთი, პირველ რიგში მცირდება აღნიშნულ ნაშთი.

8.12 ბიოლოგიური აქტივის გასვლისას გადაფასების ნამეტის ნაშთი საწარმომ უნდა გადაიტანოს გაუნაწილებელ მოგებაში.

ცვეთა/ამორტიზაცია

8.13 დარიცხული ცვეთა/ამორტიზაცია უნდა ასახავდეს საწარმოს მიერ ბიოლოგიური აქტივის მომსახურების პოტენციალის მოხმარების ხასიათს. ცვეთის/ამორტიზაციის გაანგარიშება საჭიროებს მსჯელობასა და სააღრიცხვო შეფასებებს მათ შორის:

(ა) ცვეთის იმ მეთოდის განსაზღვრას, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს ბიოლოგიური აქტივის მომსახურების პოტენციალის მოხმარების ხასიათს;

(ბ) ბიოლოგიური აქტივის მომსახურების ვადის შეფასებას, რაც, საზოგადოდ, განისაზღვრება პროდუქციის რაოდენობით, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ბიოლოგიური აქტივიდან;

(გ) აქტივის ნარჩენი ღირებულების შეფასებას. (თუმცა, საწარმომ ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლად უნდა მიიჩნიოს, თუ არ არსებობს ადვილად განსაზღვრადი ობიექტური მტკიცებულება იმ ფასისა, რა ფასადაც შესაძლებელი იქნებოდა ბიოლოგიური აქტივის გაყიდვა, თუ მას უკვე ის ასაკი და მდგომარეობა

საბუღალტერიო

ექნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.

8.14 ბიოლოგიურ აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს იმ მომენტიდან, როდესაც მისგან პირველი ნაყოფი მიიღება. ბიოლოგიურ აქტივზე ცვეთის დარიცხვა უნდა შეწყდეს მისი აღიარების შეწყვეტისას ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისგან ნაყოფის მიღება.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასება

8.15 საწარმომ ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეაფასოს ნაყოფის მიღების მომენტში, შეფასებული გასაყიდი ფასით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. ზემოაღნიშნული შეფასებით მიღებული სიდიდე წარმოადგენს თვითღირებულებას იმ თარიღისთვის, როდესაც საწარმო იწყებს წინამდებარე სტანდარტის მე-6 ნაწილის - „*მარაგები*“ - გამოყენებას.

ნაწილი 9
არაფინანსური აქტივების გაუფასურება

მოქმედების სფერო

9.1 წინამდებარე ნაწილი ეხება არაფინანსური აქტივების გაუფასურების აღრიცხვას, გარდა მარაგებისა (იხ. მე-6 ნაწილი - „*მარაგები*“)

აქტივების გაუფასურების შეფასება

9.2 საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ არაფინანსური აქტივი შეიძლება გაუფასურებული იყოს. თუ არსებობს ამგვარი ნიშანი, საწარმომ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით უნდა განსაზღვროს აქტივის საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასებული ოდენობა.

9.3 როდესაც საწარმო ადგენს აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნებს, მან უნდა გაითვალისწინოს სულ მცირე, შემდეგი ნიშნები:

ინფორმაციის გარე წყაროები

(ა) მოცემული საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივის საბაზრო ღირებულება (ან საწარმოს მიერ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით განსაზღვრული აქტივის საბაზრო ღირებულების საიმედო შეფასება) უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე მოსალოდნელი იქნებოდა ჩვეულებრივი გამოყენების ან დროის გასვლის შედეგად;

(ბ) მოცემულ პერიოდში მომხდარი ან ახლო მომავალში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილებები იმ ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც ფუნქციონირებს

საბოლოო ვერსია

საწარმო, ან იმ ბაზარზე, რომლისთვისაც განკუთვნილია აქტივი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საწარმოზე, ან ახლო მომავალში მოახდენს;

(გ) საწარმოს საკუთარი კაპიტალის საბალანსო ღირებულება მეტია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ, მთელი საწარმოს საბაზრო ღირებულების საიმედო შეფასებაზე (მაგალითად, საბაზრო ღირებულების საიმედო შეფასება ხელმძღვანელობას შეიძლება დასჭირდეს საწარმოს გასაყიდი ფასის განსაზღვრისთვის, მისი ნაწილობრივ ან მთლიანად გაყიდვის განზრახვის შემთხვევაში).

ინფორმაციის შიდა წყაროები

(ა) არსებობს აქტივის მოძველების ან მისი ფიზიკური დაზიანების ნიშანი;

(ბ) მოცემულ პერიოდში მოხდა ან ახლო მომავალში მოხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს საწარმოზე იმ თვალსაზრისით, რომ გავლენას მოახდენს აქტივის მიმდინარე ან მოსალოდნელი გამოყენების ხარისხზე, ან მეთოდზე. ამგვარ ცვლილებებს განეკუთვნება აქტივის მოცდენა, იმ საქმიანობის შეწყვეტის ან სახეცვლილების გეგმები, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი, ასევე ნავარაუდევ თარიღზე უფრო ადრე აქტივის ექსპლუატაციიდან ამოღების გეგმა;

(გ) შიდა ანგარიშგებიდან ჩანს, რომ აქტივის გამოყენების ეკონომიკური მაჩვენებლები ან წარმადობა მოსალოდნელზე უფრო მეტად გაუარესდა, ან მომავალში გაუარესდება. ამ კონტექსტში აქტივის ეკონომიკური მაჩვენებლები მოიცავს საოპერაციო შემოსავალსა და ფულად ნაკადებს.

საბუღალტრო

გაუფასურების ზარალის აღრიცხვა

9.4 როდესაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება საწარმოს მიერ საანგარიშგებო თარიღისთვის აქტივის საბაზრო ღირებულების საიმედო შეფასებას, მაშინ საწარმომ აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შეამციროს საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით განსაზღვრულ აქტივის საბაზრო ღირებულების საიმედო შეფასების ოდენობამდე და ამგვარი გაუფასურების ზარალი მაშინვე უნდა აღიაროს ხარჯის სახით **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.**

გაუფასურების ზარალის კომპენსირება

9.5 დაუშვებელია, რომ საწარმომ მოახდინოს ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა.

ნაწილი 10
იჯარა

მოქმედების სფერო

10.1 წინამდებარე ნაწილი ეხება იჯარის ბუღალტრულ აღრიცხვას, გარდა ისეთი საქონლის სალიცენზიო შეთანხმებებისა, როგორიცაა კინოფილმები, ვიდეოჩანაწერები, წარმოდგენები, ხელნაწერები, პატენტები და საავტორო უფლებები (იხ. არამატერიალური აქტივები მე-7 ნაწილში - *„გრძელვადიანი აქტივები“).*

10.2 **იჯარა** არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად მეიჯარე, საიჯარო გადახდის ან გადახდების მიღების მიზნით, მოიჯარეს გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

იჯარის კლასიფიკაცია

10.3 იჯარა კლასიფიცირდება, როგორც **იჯარა საკუთრების გადაცემის პირობით,** თუ საიჯარო შეთანხმებაში მითითებულია, რომ საიჯარო ურთიერთობის საგნის საკუთრების უფლება მეიჯარისგან გადაეცემა მოიჯარეს იჯარის ვადის გასვლისას.

10.4 **მარტივი იჯარა** არის იჯარა, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც იჯარა საკუთრების გადაცემის პირობით.

მოიჯარე: საკუთრების გადაცემის პირობით იჯარის აღრიცხვა

10.5 **თავდაპირველი აღიარება:** იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ იჯარის ფარგლებში თავისი უფლებები და ვალდებულებები **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში** უნდა აღიაროს აქტივებისა და ვალდებულებების სახით იმ თანხით, რაც დაუყოვნებლივ გადახდის ფასის ტოლია. დაუყოვნებლივ გადახდის ფასი არ უნდა აღემატებოდეს სახელშეკრულებო საიჯარო გადახდების ჯამს.

10.6 **საიჯარო ვალდებულების შემდგომი შეფასება**: შესაბამისი ფინანსური ხარჯები უნდა აღიარდეს წრფივი მეთოდით. კერძოდ, მოიჯარემ, სახელშეკრულებო საიჯარო გადახდები ისე უნდა გაყოს საპროცენტო ხარჯად და დასაფარი ვალდებულების ძირი თანხის შემცირებად, რომ ყოველ საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული შესაბამისი საპროცენტო ხარჯი თანაბარი იყოს.

10.7 **საიჯარო აქტივის შემდგომი შეფასება:** მოიჯარემ იჯარით აღებულ აქტივს ცვეთა უნდა დაარიცხოს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისი ნაწილის (როგორც წესი, მე-7 ნაწილი - *„გრძელვადიანი აქტივები“*) მიხედვით, ხოლო გაუფასურების ნიშნების შემთხვევაში უნდა შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, აღრიცხოს გაუფასურების ზარალი მე-9 ნაწილის - *„არაფინანსური აქტივების გაუფასურება“* - შესაბამისად.

საქსტანდარტი

მოიჯარე: მარტივი იჯარის აღრიცხვა

10.8 მოიჯარემ (იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში) საიჯარო გადახდები ხარჯის სახით უნდა აღიაროს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.**

10.9 როდესაც მარტივი იჯარა, ზარალიანი ხელშეკრულება ხდება, საწარმომ ასევე უნდა გამოიყენოს მე-11 ნაწილი - *„ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“.*

მეიჯარე: მარტივი იჯარის აღრიცხვა

10.10 მეიჯარემ **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში** იჯარის ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით უნდა აღიაროს **მარტივი იჯარიდან** მიღებული საიჯარო შემოსავალი.

მეიჯარე: საკუთრების გადაცემის პირობით იჯარის აღრიცხვა

10.11 მეიჯარემ იჯარის ვადის დასაწყისში უნდა შეწყვიტოს იმ აქტივის აღიარება, რომელიც იჯარის საგანს წარმოადგენს და უნდა აღიაროს ფინანსური აქტივი (საიჯარო მოთხოვნა).

10.12 აღიარებაშეწყვეტილი აქტივის საბალანსო ღირებულებასა (იხ. პუნქტი 10.11) და საიჯარო მოთხოვნის თავდაპირველ შეფასებას (იხ. პუნქტი 10.13) შორის სხვაობიდან წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი იჯარის ვადის დასაწყისში შემოსავლის ან ზარალის სახით უნდა აღიარდეს **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.**

10.13 **საიჯარო მოთხოვნის შეფასება თავდაპირველი აღიარებისას:** იჯარის ვადის დასაწყისში მეიჯარემ საიჯარო მოთხოვნა უნდა აღიაროს აქტივად იმ თანხით, რომელიც იჯარით გაცემული აქტივის დაუყოვ-ნებლივ გადახდის ფასის ტოლია. საიჯარო აქტივის დაუყოვნებლივ გადახდის ფასი არ უნდა აღემატებოდეს სახელშეკრულებო საიჯარო გადასახდელების ჯამს.

10.14 **საიჯარო მოთხოვნის შემდგომი შეფასება**: ფინანსურ შემოსავალი უნდა აღიარდეს წრფივი მეთოდით. კერძოდ, მეიჯარემ სახელშეკ-რულებო საიჯარო გადახდები ისე უნდა გაყოს საპროცენტო შემოსავლად და მისაღები საიჯარო მოთხოვნის შემცირებად, რომ ყოველ საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული შესაბამისი საპრო-ცენტო შემოსავალი თანაბარი იყოს.

საბუღალტერო

ნაწილი 11
ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

მოქმედების სფერო

11.1 წინამდებარე ნაწილი ეხება ყველა სახის ანარიცხის, პირობითი ვალდებულებისა და პირობითი აქტივის აღრიცხვას. გარდა ამისა, წინამდებარე ნაწილის ვრცელდება ისეთ ხელშეკრულებებზეც, რომლებიც გახდა ზარალიანი, თუ სტანდარტის სხვა ნაწილები არ შეიცავს ამგვარ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ კონკრეტულ მოთხოვნებს.

11.2 **ანარიცხი** ისეთი ვალდებულებაა, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია.

11.3 **ზარალიანი ხელშეკრულება** ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის მიხედვით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებლად გასაწევი დანახარჯი აღემატება მისაღებ მოსალოდნელ სარგებელს.

11.4 საწარმომ პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები არ უნდა ასახოს **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.** *(პირობითი ვალდებულებები უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში 3.15 პუნქტის შესაბამისად.)*

11.5 **პირობითი ვალდებულება** წარმოადგენს: (ა) შესაძლო ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც არ ექვემდებარება საწარმოს სრულ კონტროლს; ან (ბ) არსებულ ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ არ აღიარდება ვალდებულებად ერთ-ერთი შემდეგი მიზეზის გამო: (i) მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელი გახდება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას საწარმოდან; ან (ii) შეუძლებელია ვალდებულების ოდენობის საკმარისად საიმედო შეფასება.

11.6 **პირობითი აქტივი** არის შესაძლო აქტივი, რომელიც წარმოიქმნება წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც არ ექვემდებარება საწარმოს სრულ კონტროლს.

11.7 წინამდებარე ნაწილი არ ვრცელდება ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომლებიც განეკუთვნება მე-5 ნაწილის - *„ფინანსური ინსტრუმენტები“* - მოქმედების სფეროს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი ხელშეკრულებები წარმოადგენს ზარალიან ხელშეკრულებებს ან ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებს. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის თანახმად გარანტიის

საბუღალტერიო

გამცემი (გარანტორი) ვალდებულია წინასწარგანსაზღვრული თანხები გადაუხადოს გარანტიის მფლობელს (კრედიტორს) იმის გამო, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულმა დებიტორმა არ შეასრულა/არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

11.8 ამ ნაწილის მოთხოვნები არ ვრცელდება ისეთ ხელშეკრულებებზე, რომლის მონაწილე არც ერთ მხარეს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ან ორივე მხარეს ერთნაირად აქვს შესრულებული ვალდებულებები ნაწილობრივ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი ხელშეკრულება ზარალიანია.

ანარიცხების აღრიცხვა

11.9 საწარმომ ანარიცხი ვალდებულების სახით **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში** უნდა აღიაროს იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის გააჩნია არაფორმალური/ არასამართლებრივი ვალდებულება და მას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ამ ვალდებულების შესრულებისა;

(ბ) მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელი იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

(გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედო შეფასება.

11.10 საწარმომ ანარიცხის სიდიდე უნდა **განსაზღვროს** იმ თანხის საიმედო შეფასებით, რომლის გადახდაც საწარმოს მოუწევდა ვალდებულების შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

11.11 საწარმომ **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში** ხარჯის სახით უნდა აღიაროს ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც იგი თავდაპირველად აღიარდა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც წინამდებარე სტანდარტის სხვა ნაწილით არ მოითხოვება მისი აქტივის თვითღირებულების ნაწილის სახით აღიარება. შემდგომ პერიოდებში საწარმომ ანარიცხის საპირისპიროდ (შესამცირებლად) უნდა ასახოს მხოლოდ ის დანახარჯები (გადახდები), რისთვისაც თავდაპირველად აღიარდა ანარიცხი. ანარიცხის საბალანსო ღირებულების ნებისმიერი სხვა შემცირება უნდა აღიარდეს შემოსავლად **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.**

ზარალიანი ხელშეკრულებების აღრიცხვა

11.11 როდესაც საწარმოს გააჩნია ზარალიანი ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების ფარგლებში არსებული ვალდებულება **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში** უნდა **აღიაროს** ანარიცხად.

11.12 საწარმომ ზარალიანი ხელშეკრულებისთვის შესაქმნელი ანარიცხის ოდენობა უნდა **განსაზღვროს** იმ ნამეტი დანახარჯის ოდენობის საიმედო შეფასებით, რომლითაც სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი დანახარჯები აღემატება ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ამ ხელშეკრულებიდან.

ინფორმაციის ასახვა განმარტებით შენიშვნებში

11.13 საწარმომ უნდა განსაზღვროს ყველა ფინანსური ვალდებულების, გარანტიის, პირობითი ვალდებულების ოდენობა (თანხა), რომლებიც ასახული არ არის **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში** და შესაბამისი ჯამური თანხა ასახოს განმარტებით შენიშვნებში. საწარმოს არ ევალება პირობითი ვალდებულების განმარტებით შენიშვნებში ასახვა, როდესაც საწარმოდან რესურსების გასვლის ალბათობა ძალიან მცირეა.

ნაწილი 12
საკუთარ კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციები მესაკუთრეებთან

საბჭოს ვერსია

მოქმედების სფერო

12.1 წინამდებარე ნაწილში განსაზღვრულია საკუთარ კაპიტალთან დაკავშირებით მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვის პრინციპები. წინამდებარე ნაწილი არ ეხება ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (იხ. მე-11 ნაწილი - *„ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“*).

ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია ვალდებულებად ან საკუთარ კაპიტალად

12.2 საწარმომ მის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველი აღიარებისას უნდა აღრიცხოს ფინანსურ ვალდებულებად ან საკუთარ კაპიტალად, სტანდარტში მოცემული განმარტებების შესაბამისად.

12.3 მე-5 ნაწილში - *„ფინანსური ინსტრუმენტები“* - მოცემულია ფინანსური ინსტრუმენტისა და ფინანსური ვალდებულების განმარტებები და განსაზღვრულია ფინანსური ვალდებულების აღრიცხვის წესები.

12.4 მე-2 ნაწილში - *„საფუძვლები, დაშვებები და ძირითადი პრინციპები“* მოცემულია საკუთარი კაპიტალის განმარტება.

საკუთარი კაპიტალის გამოშვების აღრიცხვა

12.5 საწარმომ აქციების, ან სხვა წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვება იმ შემთხვევაში უნდა აღიაროს, როგორც საკუთარი კაპიტალი, როდესაც

გამოუშვებს ამ ინსტრუმენტებს და მეორე მხარე ვალდებული ხდება, განახორციელოს შესატანი ფულადი სახსრების ან სხვა სახით ამ ინსტრუმენტების მიღების სანაცვლოდ:

(ა) თუ წილობრივი ინსტრუმენტები გამოშვებულია ფულადი სახსრების ან სხვა სახის შენატანის განხორციელებემდე, მაშინ საწარმომ მისაღები თანხა უნდა ასახოს აქტივის სახით **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში** შემდეგ მუხლად: კაპიტალი (გაუნაღდებელი ნაწილი);

(ბ) თუ საწარმო წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებამდე მიიღებს ფულად სახსრებს ან სხვა რესურსს და საწარმოს არ მოეთხოვება მიღებული ფულადი სახსრების ან სხვა რესურსების დაბრუნება, მაშინ საწარმომ უნდა აღიაროს საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდა, მიღებული ანაზღაურების ოდენობით; და

(გ) თუ წილობრივი ინსტრუმენტები განთავსებულია, მაგრამ ჯერ არ არის გამოშვებული და საწარმოს არც ფულადი სახსრები და არც სხვა რესურსი არ მიუღია, მან არ უნდა აღიაროს საკუთარი კაპიტალის ზრდა.

12.6 საწარმომ თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომშიც, წილობრივი ინსტრუმენტები უნდა შეაფასოს აღიარების თარიღისათვის განსაზღვრული მიღებული ან მისაღები ანაზღაურების საბაზრო ღირებულების საიმედო შეფასებით.

12.7 საწარმომ გარიგების დანახარჯები **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში** უნდა აღრიცხოს ხარჯის სახით მათი გაწევისთანავე.

საბჭოს

გამოსყიდული საკუთარი აქციების აღრიცხვა

12.8 გამოსყიდული საკუთარი აქცია არის საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტი, რომელიც საწარმომ გამოუშვა და შემდგომში თვითონვე შეისყიდა. საწარმომ გამოსყიდულ საკუთარ აქციებში გადახდილი ანაზღაურების საიმედო შეფასება უნდა ასახოს როგორც მოკლევადიან აქტივად კლასიფიცირებული საინვესტიციო აქტივი. საწარმომ **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში** არ უნდა აღიაროს საკუთარი აქციების გამოსყიდვიდან, გამოსყიდული აქციების გასხვისებიდან ან გაუქმებიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი.

მესაკუთრეებზე გაცემული განაწილებების აღრიცხვა

12.9 საწარმომ საკუთარი კაპიტალის ოდენობა უნდა შეამციროს მესაკუთრეებზე (მისი წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებზე) გაცემული განაწილებების საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასებული თანხით. მესაკუთრეებზე განაწილებულ თანხასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი უნდა აღირიცხოს მე-16 ნაწილის შესაბამისად.

ნაწილი 13
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

მოქმედების სფერო

13.1 წინამდებარე ნაწილში მოცემულია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების აღრიცხვის მოთხოვნები. აღნიშნული მოთხოვნები ცალ-ცალკეა განსაზღვრული ამონაგებისათვის, რომელიც წარმოქმნილია:

(ა) საქონლის გაყიდვიდან;

(ბ) მომსახურების (მათ შორის, სამშენებლო მომსახურების) გაწევიდან; და

(გ) საწარმოს არაფინანსური აქტივების გამოყენებისთვის ან გამოყნების უფლების სხვა პირისთვის გადაცემის შედეგად (მათ შორის, როიალტები).

13.2 საპროცენტო შემოსავალი და დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი არ განეკუთვნება წინამდებარე ნაწილის მოქმედების სფეროს. ისინი რეგულირდება მე-5 ნაწილით - *„ფინანსური ინსტრუმენტები“*.

აღიარება

13.3 მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებისთვის ამონაგების აღიარება:

(ა) **საქონლის გაყიდვა,** როდესაც: (i) კონტროლი საქონელზე, რომელიც მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საგანია, საწარმოდან გადადის მომხმარებელზე; (ii) შესაძლებელია გარიგების ფასის შეფასება გონივრული რწმუნებით; და (iii) გარიგების ფასის მიღების გონივრული რწმუნება არსებობს.

(ბ) **მომსახურების,** მათ შორის სამშენებლო მომსახურების **გაწევა,** როდესაც: (i) საწარმომ გასწია მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ, რაც დასტურდება მხარეთა ფორმალური შეთანხმებით (მაგ., მიღება-ჩაბარების აქტით); (ii) შესაძლებელია გარიგების ფასის შეფასება გონივრული რწმუნებით; და (iii) გარიგების ფასის მიღების გონივრული რწმუნება არსებობს.

თუ საწარმო გადაწყვეტს ამონაგების ეტაპობრივად აღიარებას, მან უნდა გამოიყენოს მომსახურების ეტაპობრივი შესრულების მეთოდი, რაც გულისხმობს ამონაგების აღიარებას შესრულებული სამუშაოს პროპორციულად. ზემოაღნიშნული მეთოდით აღიარებული ამონაგები უნდა განისაზღვროს რაციონალურ და თანმიმდევრულ საფუძველზე, როგორიცაა, მაგალითად გაყიდვების ღირებულება, დაკავშირებული დანახარჯები, შესრულებული სამუშაოს მდგომარეობა ან ეტაპების რაოდენობა.

საბჭოს ვერსია

თუ მომსახურების გაწევა ხდება რეგულარულად ან უწყვეტად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმომ ამონაგები უნდა აღიაროს თანაბარზომიერად (წრფივი მეთოდით), მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენება უფრო ზუსტად ასახავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხასიათს. შესრულებული სამუშაოს მოცულობა უნდა შეფასდეს საქმიანობის შედეგების მაჩვენებლების გათვალისწინებით, რომლებიც გონივრულ ფარგლებში განსაზღვრადია და რაც შეიძლება პირდაპირ იყოს დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებისთვის მნიშვნელოვან აქტივობებთან. საქმიანობის შედეგების მაჩვენებლები მოიცავს შუალედური შედეგების მაჩვენებლებს, როგორიცაა, მაგალითად წარმოებული ერთეულების რაოდენობა და დასრულებული მნიშვნელოვანი ეტაპები, ან რესურსების მაჩვენებლები, როგორიცაა დანახარჯები, დახარჯული სამუშაო დრო ან გამოყენებული მანქანასაათები. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარმოადგენს შეფასების სათანადო საფუძველს, იმ შემთხვევის გარდა, თუ ისინი არ ასახავს შესრულებულ სამუშაოს.

(გ) **როიალტები**: (i) დარიცხვისთანავე, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; (ii) შესაძლებელია დარიცხული როიალტის გონივრული რწმუნებით შეფასება; და (iii) არსებობს დარიცხული როიალტის მიღების გონივრული რწმუნება.

13.4 როდესაც შეუძლებელია გარიგების ფასის გონივრული რწმუნებით შეფასება, მაშინ საწარმომ ამონაგები უნდა აღიაროს მხოლოდ გაწეული დანახარჯების ფარგლებში, რომელიც ცალსახად ანაზღაურებადია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

13.5 როდესაც მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არის დაკავშირებული ამონაგების მიღებასთან, ამონაგები უნდა აღიარდეს მხოლოდ ფულადი სახსრების მიღებისას.

13.6 ამასთან, თუ ამგვარი განუსაზღვრელობა ამონაგების აღიარების შემდეგ წარმოიქმნება, საწარმომ უნდა ასახოს გაუფასურების ზარალი ხარჯის სახით **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში** იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიქმნა განუსაზღვრელობა (იხ. მე-5 ნაწილი - *„ფინანსური ინსტრუმენტები“).* დაუშვებელია თავდაპირველად ასახული ამონაგების სიდიდის კორექტირება.

ამონაგების შეფასება

13.7 საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს გარიგების ფასით, რომელიც შემცირდება საწარმოს მიერ დაწესებული სავაჭრო დათმობის, დაუ-

ყოვნებლივ ანგარიშსწორებისთვის ფასდათმობისა და შენაძენის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობის თანხებით.

13.8 როდესაც საწარმო ყიდის საქონელს ან მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით და შემდგომი გადახდის ფასი მეტია დაუყოვნებლივ გადახდის ფასზე, მაშინ ამონაგები აღიარდება დაუყოვნებლივ გადახდის ფასით, ხოლო სხვაობა შემდგომი გადახდის ფასსა და გარიგების ფასს შორის აღირიცხება წრფივი მეთოდით მე-5 ნაწილის - *„ფინანსური ინსტრუმენტები“* - შესაბამისად.

ზარალიანი ხელშეკრულება

13.9 როდესაც მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულება ზარალიანი ხელშეკრულება ხდება, საწარმომ უნდა გამოიყენოს მე-11 ნაწილი - *„ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“.*

ნაწილი 14
სახელმწიფო გრანტები

საბუღალტერისა

მოქმედების სფერო

14.1 წინამდებარე ნაწილი ეხება ყველა სახის სახელმწიფო გრანტის აღრიცხვის მოთხოვნებს. სახელმწიფო გრანტი არის სახელმწიფოს მიერ საწარმოსათვის გაწეული დახმარება რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული, წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ.

აღიარება

14.2 საწარმომ სახელმწიფო გრანტი უნდა აღიაროს შემდეგნაირად:

(ა) გრანტი, რომელიც არ ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიღებისთვის გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში უნდა აღიარდეს გრანტის მიღების უფლების წარმოშობისთანავე;

(ბ) გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიღებისთვის გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ უნდა აღიარდეს, როდესაც გრანტის მიღების პირობები შესრულდება; და

(გ) თუ საწარმო მანამდე იღებს გრანტს, სანამ ამონაგების აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილდება, ასეთი გრანტი უნდა აღიარდეს როგორც ვალდებულება.

შეფასება

14.3 საწარმომ თავდაპირველი აღიარებისას გრანტი უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები აქტივების საიმედოდ შეფასებული საბაზრო ღირებულების ოდენობით.

ნაწილი 15
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

მოქმედების სფერო

15.1 წინამდებარე ნაწილი ეხება საწარმოს მიერ ყველა დასაქმებული პირის გასამრჯელოს აღრიცხვას. დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, მათ შორის ხელმძღვანელ პირებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე.

აღიარება

15.2 საწარმომ დასაქმებულ პირთა ნებისმიერი სახის გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დასაქმებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, უნდა აღიაროს:

(ა) ვალდებულების სახით, იმ თანხების გამოკლებით, რაც უკვე გადახდილია აღნიშნული ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის. თუ გადახდილი თანხა აღემატება ვალდებულების მოცულობას, რომელიც წარმოიშვა საანგარიშგებო თარიღამდე გაწეული მომსახურებიდან, საწარმომ ნამეტი თანხა უნდა აღიაროს აქტივად იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა გამოიწვევს მომავალში გადასახდელი თანხების შემცირებას, ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას;

(ბ) როგორც ხარჯი, თუ წინამდებარე სტანდარტის სხვა ნაწილი არ მოითხოვს, რომ ეს დანახარჯი აისახოს აქტივის, მაგალითად მარაგის, ან ძირითადი საშუალების ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების თვითღირებულებაში.

საბუღალტრო

შეფასება

15.3 საწარმომ დასაქმებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ თანხის საიმედო შეფასებაზე დაყრდნობით, რომელიც აუცილებელია საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული ვალდებულების შესასრულებლად.

ნაწილი 16
მოგების გადასახადი

მოქმედების სფერო

16.1 წინამდებარე ნაწილი ეხება საანგარიშგებო პერიოდის მოგების გადასახადის აღრიცხვას. მოგების გადასახადი მოიცავს ყველა ადგილობრივ

და უცხოურ გადასახადს, რომლებიც გამოითვლება დასაბეგრი მოგების საფუძველზე.

16.2 საანგარიშგებო პერიოდის მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა იურისდიქციების საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

აღიარება

16.3 საწარმომ იმ შემთხვევაში უნდა აღიაროს საგადასახადო ვალდებულება, თუ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ის ვალდებულია, გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა იურისდიქციების საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

16.4 საწარმომ მოგების გადასახადი უნდა ასახოს ხარჯის სახით **შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.**

შეფასება

16.5 საწარმომ მოგების გადასახადის ვალდებულება უნდა შეაფასოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა იურისდიქციების საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

საშუალოვადიანი

ნაწილი 17
უცხოური ვალუტა

მოქმედების სფერო

17.1 წინამდებარე ნაწილი ეხება უცხოურ ვალუტაში გამოსახული ოპერაციების აღრიცხვას.

17.2 საწარმოების სამუშაო ვალუტა და წარსადგენი ანგარიშგების ვალუტა არის ეროვნული ვალუტა.

17.3 უცხოური ვალუტით გამოსახული ოპერაცია არის საწარმოს მიერ შესრულებული ოპერაცია, რომელიც გამოსახული არ არის ეროვნულ ვალუტაში.

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების ანგარიშგება ეროვნულ ვალუტაში

17.4 საწარმომ უცხოური ვალუტით გამოსახული ოპერაცია თავდაპირველი აღიარებისას უნდა გადაიყვანოს ეროვნულ ვალუტაში, რისთვისაც თავდაპირველი აღიარების თარიღით უცხოურ ვალუტაში გამოსახული

თანხის მიმართ უნდა გამოიყენოს ოპერაციის თარიღის მდგომარეობით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსი. ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც ეს ოპერაცია პირველად დააკმაყოფილებს წინამდებარე სტანდარტის სხვა შესაბამისი ნაწილების აღიარების კრიტერიუმებს.

17.5 ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ:

(ა) უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები ეროვნულ ვალუტაში უნდა გადაიყვანოს საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით;

(ბ) თვიღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, უნდა გადაიყვანოს ეროვნულ ვალუტაში მათი აღიარების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით; და

(გ) არაფულადი მუხლები, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ გადაფასდა (ხელახლა შეფასდა) უცხოურ ვალუტაში, უნდა გადაიყვანოს ეროვნულ ვალუტაში, გადაფასების თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსით.

საქართველოს

ნაწილი 18
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოქმედების სფერო

18.1 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც მოხდება ფინანსური ანგარიშგების წარდგენა სამსახურში.

18.2 ამ ნაწილში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები შემდეგნაირადაა კლასიფიცირებული:

(ა) **მაკორექტირებელი მოვლენები:** საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისთვის არსებულ გარემოებებზე;

(ბ) **არამაკორექტირებელი მოვლენები:** საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები, რომლებიც მიანიშნებს იმ გარემოებებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ პერიოდში; და

(გ) **მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველს:** საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი

მოვლენები, რომლებიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საწარმოს ხელმძღვანელობის შეფასებით, მათ არ გააჩნიათ საწარმოს ლიკვიდაციის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა (ანუ საწარმო აღარ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს).

აღიარება და შეფასება

18.3 საწარმომ უნდა დააკორექტიროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხები (მათ შორის შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ ასეთი არსებობს) საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით.

18.4 არამაკორექტირებელი მოვლენები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარდება.

18.5 თუ სამსახურისთვის ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე მოხდება მოვლენა, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველს, მან ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს ისეთი საფუძვლით, რომელიც ასახავს იმ ფაქტს, რომ საწარმო არ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს.

საბუღალტერო

ნაწილი 19
წინამდებარე სტანდარტზე გადასვლა

მოქმედების სფერო

19.1 საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტს, წინამდებარე ნაწილი უნდა გამოიყენოს პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, რომელიც, მისი აზრით, შესაბამისობაშია ამ სტანდარტთან.

19.2 საწარმოსთვის წინამდებარე სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის ყველაზე ადრინდელი პერიოდის დასაწყისი, რომლისთვისაც საწარმო ამ სტანდარტის შესაბამისად წარადგენს სრულყოფილ შესადარის ინფორმაციას პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც მისი აზრით, შეესაბამება მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტს.

19.3 წინამდებარე ნაწილი ვრცელდება იმ საწარმოებზეც, რომლებიც გასულ საანგარიშგებო პერიოდში იყენებდნენ წინამდებარე სტანდარტს, მაგრამ მათი უახლესი წლიური ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავდა ცალსახა და უპირობო განცხადებას მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტთან შესაბამისობის შესახებ.

19.4 საწარმო მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ისე, თითქოს იგი ყოველთვის ამ სტანდარტს იყენებდა. სხვა სიტყვებით, საწარმომ წინამდებარე სტანდარტზე გადასვლის თარიღით:

(ა) უნდა აღიაროს ყველა აქტივი და ვალდებულება, რომლის აღიარებაც მოითხოვება მოცემული სტანდარტით;

(ბ) არ უნდა აღიაროს ისეთი მუხლები აქტივებად ან ვალდებულებებად, რომელთა აღიარებაც ნებადართული არ არის ამ სტანდარტით;

(გ) უნდა მოახდინოს ფინანსური ანგარიშგების ყველა იმ ელემენტის რეკლასიფიკაცია, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლების თანახმად, აღიარებული იყო ერთი ტიპის აქტივად, ვალდებულებად, ან საკუთარი კაპიტალის კომპონენტად, მაგრამ წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად წარმოადგენს სხვა ტიპის აქტივს, ვალდებულებას ან საკუთარი კაპიტალის კომპონენტს; და

(დ) გამოიყენოს მოცემული სტანდარტი ყველა აღიარებული აქტივისა და ვალდებულების შესაფასებლად.

ამ სტანდარტზე გადასვლის წესებიდან ნებაყოფლობითი გამონაკლისები (სტანდარტის პირველად გამოყენებისას)

19.5 მხოლოდ იმ საწარმოს, რომელიც **პირველად იყენებს** წინამდებარე სტანდარტს, სტანდარტზე გადასვლის თარიღით შეუძლია გადასვლის წესების ქვემოთ ჩამოთვლილი შეღავათებიდან ერთ-ერთის არჩევა:

(ა) არ წარადგინოს შესადარისი ინფორმაცია მოცემული სტანდარტის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საწარმოსთვის, რომელიც აირჩევს ამ გამონაკლისის გამოყენებას, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე წლის დასაწყისი;

(ბ) წარადგინოს მხოლოდ **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება** (და სამი სავალდებულო განმარტებით შენიშვნა) მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში. საწარმოსთვის, რომელიც აირჩევს ამ გამონაკლისის გამოყენებას, მოცემულ სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად მომზადებული პირველი **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების** (რომელიც ამასთანავე არის მეოთხე

კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად მომზადებული მისი პირველი ფინანსური ანგარიშგება) თარიღი.

19.6 მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის თარიღით საწარმოს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ძირითადი საშუალებების (მათ შორის, საინვესტიციო ქონების) ან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივის შეფასება გადასვლის თარიღისთვის, მისი საბაზრო ღირებულების ოდენობის საიმედო შეფასებით (ე.ი. იმ ოდენობით, რა ფასადაც შეუძლია მას აქტივის გაყიდვა) და შეუძლია ეს ღირებულება გამოიყენოს, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება ზემოაღნიშნული თარიღით.

ამ სტანდარტზე გადასვლის წესებიდან ნებაყოფლობითი გამონაკლისები (სტანდარტის ხელახალი გამოყენებისას)

19.7 საწარმომ, რომელმაც მეოთხე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი გამოიყენა გასულ პერიოდში, მაგრამ მისი უახლესი წლიური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა ბუღალტრული აღრიცხვის სხვა საფუძვლების შესაბამისად (მაგალითად, ფასს სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის):

(ა) რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი მე-4 ნაწილის - „*საღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები*“ - შესაბამისად ისე, თითქოს საწარმოს არასდროს შეუწყვეტია ამ სტანდარტის გამოყენება; ან

(ბ) რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი მე-4 ნაწილის - „*საღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები*“ - შესაბამისად ისე, თითქოს საწარმოს არასდროს შეუწყვეტია ამ სტანდარტის გამოყენება, ერთადერთი გამონაკლისის დაშვებით, რომ მას შეუძლია აირჩიოს 19.6 პუნქტით გათვალისწინებული ნებაყოფლობითი შეღავათი.